



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 0 20 0001212278



18/12/2020

**„პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06
აგვისტოს №680/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2020 წლის 11 დეკემბრის №1192254 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 აგვისტოს №680/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის“:

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პროფესიული სტანდარტის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების/განვითარების/განხორციელების შესახებ ცოდნა და გამოცდილება;“;

ა.ბ) მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შესაბამის სფეროში ბოლო 5 წლის განმავლობაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება ან შესაბამის სფეროში უმაღლესი/პროფესიული განათლება და შესაბამის სფეროში ბოლო 5 წლის განმავლობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;“;

ბ) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური უზრუნველყოფს საბჭოს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის, საბჭოს თითოეულ წევრს აწვდის განსახილველ დოკუმენტაციასა და შესაბამის ინფორმაციას.“;

გ) მე-5 მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭოს სხდომის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური.“;

გ.ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საბჭოს სხდომები საჯაროა. საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაზე სხვა პირების, მათ შორის, შესაბამისი სფეროს ეროვნული ან საერთაშორისო ასოციაციების/გაერთიანებების ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ან შესაბამისი სფეროს დარგის ექსპერტების მოწვევა განხილვებში მონაწილეობის მიზნით;“;

გ.გ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

„7. ინფორმაცია საბჭოს სხდომის შესახებ, განსახილველი საკითხების მითითებით, ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, სხდომის გამართვამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე.
8. საბჭოს სხდომები შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.“;

დ) მე-7 მუხლის:

დ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური უზრუნველყოფს ამ წესისა და „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“ დაცვით შემუშავებული პროფესიული სტანდარტის, ჩარჩო დოკუმენტის, მოდულის პროექტების შესაბამის დარგობრივ საბჭოზე განხილვის შედეგად, შესაბამისი დოკუმენტაციისა და გადაწყვეტილების წარდგენას ცენტრის დირექტორის წინაშე.“;

დ.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ცენტრი უზრუნველყოფს დამტკიცებული პროფესიული სტანდარტის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის ასახვას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მათი დამტკიცებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში. ასევე, ამავე ვადაში ცენტრი უზრუნველყოფს დოკუმენტების დამტკიცების შესახებ ინფორმაციის განთავსებას ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.“.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

